



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოსელიანი დავით გიორგის ძე



დ. იოსელიანი

იოსელიანი დავით გიორგის ძე (დ. 3. VI. 1943, თბილისი), კარდიოლოგი. რუსეთის მეცნ. აკად. წ.კორ. (2011), აკადემიკოსი (2016), მედ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1982). რუსეთის ფედერაციის მეცნ. დამს. მოღვაწე (2002).

1966 დაამთავრა თსსი. 1971-იდან მუშაობს მოსკოვის ა.ნ. ბაკულევის სახ. გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე: უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი (1972-77), უფრ. მეცნიერი თანამშრომელი (1977-82), თავისივე შექმნილი (1992-იდან გადაუდებელი და ინტერვენციული კარდიოლოგიის) განყოფილების გამგე (1982-96), 1996-იდან – მოსკოვის ინტერვენციული კარდიოანგიოლოგიის სახელმწ. ცენტრის (ასევე თავისივე დაარსებული) დირექტორი, 2011-იდან (შეთავსებით) – ნ.ი. პიროგოვის სახ. სამედიცინო უნ-ტის რენტგენოენდოვასკულარული მეთოდებით დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კათედრის, ასევე ი.მ. სეჩენოვის სახ. I სამედ. უნ-ტის ინტერვენციული კარდიოანგიოლოგიის კათედრის დამაარსებელი და გამგე (2016). 1988 გულის იშემიური დაავადების თანამედროვე მეთოდების მეცნ. დამუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვისთვის მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია.

ი. 2000–04 იყო რუსეთის ინტერვენციული კარდიოანგიოლოგიის სამეცნ. საბჭოს თავ-რე; მოსკოვის კარდიოანგიოლოგთა საზ-ბის თავ-რე (2003-იდან), ვ.ი. ბურაკოვსკის სახ. პრემიის ლაურეატი (2010); მოსკოვის მთ. კარდიოლოგი (2000–10), ევროპის კარდიოლოგთა საზ-ბის ნამდვ. წევრი (2002); ორენოვან ჟურნალ „International journal of interventional cardiology“-ის მთ. რედაქტორი (2002). არის მრავალი სამეცნ. ნა-შრომის (მ. შ. 9 მონოგრაფიის, 1 სახელმძღვანელოს) და 5 გამოგონების ავტორი. სა-ქართვე. მეცნიერებათა ეროვნ. აკადემიის უცხოელი წევრი (2017).

ი. არის რფ-ის სამთავრობო პრემიის ლაურეატი მეცნიერების და ტექნიკის დარგში (2010). მოსკოვის სამთავრობო პრემიის ლაურეატი (2003, 2008, 2011); არჩეულია ამერიკის კარდიოლოგიური კოლეჯის (1993), კუბის კარდიოლოგთა საზ-ბის გამგეობის (1980), ნიუ-იორკის აკადემიის (1995) წევრად და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ღირსების ორდენი (2003).

თბზ.: Актуальные вопросы кардиологии, М., 2006; Раннее поэтапное восстановление нарушенного кровоснабжения сердца и улучшение ближайшего и среднеотдаленного прогноза у больных острым инфарктом миокарда (клинико-патофизиологические и фармакологические аспекты), М., 2009.
